ნომერი: S - 25

თარიღი: 10.03.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „მეგა ჰოლდინგს“ (ს/კ 436031973) კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე დანადგარი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს ჯერ შპს „თბილცემენტ გრუპის“, ხოლო კომპანიის სახელის ცვლილების შემდეგ შპს „მეგა ჰოლდინგის“ სახელით.

კომპანიის საქმიანობა, კერძოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (2018 წლამდე) ძალაში შესვლამდე არ ექვემდებარეობოდა შესაბამისი ნებართვის აღებას, ამასთან „ატმოსფერული ჰაერის დაცვისა“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად არ საჭიროებდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ხელმძღვანელობს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პერიოდულად ათანხმებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს და წყალაღების დოკუმენტს.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს, ბოლო პერიოდში წარმოების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა გადაიარაღება, კერძოდ დანადგარს დაემატა ტექნოლოგიური ელემენტები. ამასთან გაიზარდა გადამუშავებული და წარმოებული ნედლეულის რაოდენობაც.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''- ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ

საქართველო, თბილისი 0178, ქერჩის ქ. N6გ

T: +995 322 322222

E: info@mega.com.ge

Web-Page: www.megaholding.com.ge

№ 5114
10 03 22

საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის ექსპლუატაციის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართის სახით იხილეთ:

1. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
2. საწარმოს გენ. გეგმა.

პატივისცემით,

პავლე ლოლაძე

დირექტორი

საქართველო, თბილისი 0178, ქერჩის ქ. N6ბ
T: +995 322 322222
E: info@mega.com.ge
Web-Page: www.megaholding.com.ge